თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 12 ივნისი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 12 ივნისი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ბადრი ბუცხრიკიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. ნინო ოქრუაძე, 9. ზურაბ ჩხიკვაძე, 10. ლაშა ლანჩავა, 11. ეკა ბერძენიშვილი, 12. ომარ ჯიხვაშვილი , 13. ლაშა გურგენიძე, 14. ნინო მახათაძე, 15. მაკა ყიფშიძე, 16.ნოდარი ხოხიაშვილი, 17.გიორგი თურქაძე, 18.ერეკლე კირკიტაძე, 19. გრიგოლ გიორგაძე, 20. მამული კოვზირიძე, 21. გიორგი ყაზაიშვილი, 22.გიორგი ქასრაშვილი, 23.რამაზი ლორთქიფანიძე, 24. მირზა აფრიდონიძე, 25.მანუჩარ ფანჩულიძე, 26.გიორგი ბერეკაშვილი. 27. თემური ქოჩიაშვილი, 28.ნატო კვეტენაძე, 29.ჯანო რობაქიძე, 30.ელისო მურადაშვილი, 31.იუზა უგრეხელიძე, 32.შალვა ჭანკვეტაძე, 33.ვლადიმერ მაკარიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გოჩა ვერულაშვილი, 2. გიორგი ბრეგაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 33 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები - ზვიად ბაზაძე,მირზა ქოჩიაშვილი.
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 13 ^{20}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი);

   მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი);

   მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი);

   მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 08 ივნისის №28-282615953 წერილი);

   მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

5. ,,თერჯოლილის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 ივნისის №28-282616087 წერილი);

   მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 09 ივნისის №28-282616088 წერილი);

   მომხ: ბ. ბუცხრიკიძე

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, რომ ქალაქ თერჯოლაში მდებარე ს/კ 33.09.42.1095-ით რეგისტრირებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შემდგომში მასზე ავტომატური მეტოროლოგიური სადგურის განთავსების მიზნით(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28261616, 10.06.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ თერჯოლაში, რუსთაველის ქ. №109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.945) არსებული 26.42 m^2 ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (ს/კ202051536) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28261617, 10.06.2026 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

9. ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ტურიზმის მიმართულებით (თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის წერილი №28-282616220, 11.06. 2026 წ.).

მომხს.: ს.ბუსკივაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -33, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურში უქმდება ერთი განყოფილება და სამი საშტატო ერთეული (მათგან ორი ვაკანტურია). განყოფილების უფროსი, კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადაყვანილ იქნა დაბალი კატეგორიის თანამდებობაზე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-32, წინააღმდეგი-1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №55, 12/06/2026 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ფუნქციათა ნაწილობრივი დუბლირებისა და ფუნქციების სხვა ორგანიზაციული ფორმით განხორციელების გამო, უქმდება სამი საშტატო ერთეული (მათ შორის ორი ვაკანტური და ერთი დაკავებული), ხოლო შესაბამისი მიმართულებების შესრულება სისტემურად შენარჩუნდება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-32, წინააღმდეგი-1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №56, 12/06/2026 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი- ფუნქციათა

დუბლირების აღმოფხვრისა და მათი შესაბამის კომპეტენციებში გადანაწილების მიზნით, უქმდება ერთი საშტატო ერთეული.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №54, 12/06/2026 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - წარმოდგენილი პროექტით მერიის საშტატო ნუსხა მცირდება 15 ერთეულით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №53, 12/06/2026 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროექტით გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის ერთი ერთეულით შემცირება.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 03 დეკემბრის №გ-29.2925337001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ.29. 29261633, 12/06.2026 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომიისის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი- პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 30 000 ლარს, საიდანაც 13 500 ლარი გათვალისწინებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, ხოლო დანარჩენი წითელი ჯვრის საზოგადოების თანამონაწილეობიდან. პროექტი ხელს შეუწყობს სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდას, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის გაძლიერებას, მოხალისეობრივი საქმიანობისა და საზოგადოების ჩართულობის განვითარებას, ასევე ადგილობრივი თემების მდგრადობის ზრდას. დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის არ ითვალისწინებს, გარდა პროგრამით განსაზღვრული თანამონაწილეობისა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ.29.29261632, 12/06.2026 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, რომ ქალაქ თერჯოლაში მდებარე ს/კ 33.09.42.1095-ით რეგისტრირებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შემდგომში მასზე ავტომატური მეტოროლოგიური სადგურის განთავსების მიზნით) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა მერს, რომ ქალაქ თერჯოლაში მდებარე ს/კ 33.09.42.1095-ით რეგისტრირებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შემდგომში მასზე ავტომატური მეტოროლოგიური სადგურის განთავსების მიზნით) განკარგულების პროექტი (განკარგულება. №გ.29. 29261634, 12/06.2026 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული 26.42 m^2 ფართი გადაეცეს წითელი ჯვრის საზოგადოებას უსასყიდლო უზუფრუქტის სახით არსებობის ვადამდე.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -32, წინააღმდეგი - 1.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს , თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქალაქ თერჯოლაში, რუსთაველის ქ. №109 -ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.45.945) არსებული 26.42 m^2 ფართი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (ს/კ202051536) განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ.29.2926163001, 12.06.2026 წ.).

9.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელმა სოფიო ბუსკივაძემ საკრებულოს სხდომის წევრებს გააცნო ტურიზმის მიმართულების მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ტურიზმის მიმართულებით მომზადებული ანგარიშის წარდგენის შემდგომ, სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხისა და აქტიური დებატების რეჟიმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელის პრეზენტაციის წარდგენის შემდეგ, გამოიკვეთა რამდენიმე სისტემური ხარვეზი, რომლებიც პირდაპირ აისახება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის რეალიზაციაზე. კერძოდ, იდენტიფიცირდა შემდეგი პრობლემური მიმართულებები:

- **მონიტორინგისა და ზედამხედველობის ნაკლებობა:** ტურიზმის სექტორზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მხრიდან არ ხორციელდება ტურისტულ ლოკაციებზე განთავსებული საინფორმაციო დაფებისა და ბანერების სისტემური, გეგმური მონიტორინგი. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მიმდინარე მდგომარეობის (ვიზუალური მხარე, ინფორმაციის სიზუსტე, დაზიანებები) კონტროლის არარსებობა აფერხებს ვიზიტორებისთვის ხარისხიანი სერვისის მიწოდებას და უარყოფითად მოქმედებს მუნიციპალიტეტის იმიჯზე.

- **მარკეტინგული და პრომო-აქტივობების დეფიციტი:** საანგარიშო პერიოდში არ ფიქსირდება საინფორმაციო ტურების (ე.წ. ინფო-ტურების) ორგანიზება, რაც ტურიზმის სფეროში სამიზნე აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. მუნიციპალიტეტის ტურისტული ლოკაციების პოპულარიზაციის მიზნით არ გატარებულა ქმედითი, სტრატეგიული ღონისძიებები, რაც მიუთითებს პროაქტიული მარკეტინგული გეგმის არარსებობაზე.

- **დაინტერესებულ მხარეებთან სუსტი კოორდინაცია:** სამსახურის მხრიდან პარტნიორული ქსელის უგულებელყოფის ნათელი მაგალითია სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა“. აღნიშნულ ღონისძიებაზე არ ყოფილან მოწვეულნი წამყვანი ტურისტული სააგენტოებისა და სექტორის სხვა ოპერატორების წარმომადგენლები. მსგავსი მასშტაბის კულტურული ღონისძიებების მიზნობრივი ბიზნეს-ჯგუფების გარეშე ჩატარება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული ინტერესების ლობირების თვალსაზრისით.

- **ციფრული კომუნიკაციის ხარვეზები:** თანამედროვე ციფრული მარკეტინგის სტანდარტების ფონზე, სამსახურის ოფიციალურ Facebook-გვერდზე არ შეინიშნება ინფორმაციის სისტემური განახლება და დინამიკური აქტივობა. პლატფორმის პასიური მართვა და მომხმარებლებთან არათანმიმდევრული ონლაინ-კომუნიკაცია მნიშვნელოვნად ამცირებს მუნიციპალიტეტის ცნობადობას ციფრულ სივრცეში და ზღუდავს პოტენციური შიდა თუ საერთაშორისო ტურისტების ინფორმირებულობის დონეს.

აღნიშნული გარემოებები მოითხოვს სამსახურის მუშაობის სპეციფიკის გადახედვას, შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას და კომუნიკაციის ციფრული თუ ფიზიკური არხების დაუყოვნებლივ ოპტიმიზაციას.

გადაწყვიტეს: არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ტურიზმის მიმართულებით

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 12 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე

საქართველო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA, TERJOLA MUNICIPALITY COMMUNITY COUNCIL
* 231946623 *